891.5(09)
5-203

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

თეა ჯანაშია

„შერე ნოუ“ და ფორუყ ფაროხზადის ცხოვრება და შემოქმედება

10. 01. 06 - მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი 2003

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

თეა ჯანაშია

„შერე ნოუ“ და ფორუყ ფაროხზადის ცხოვრება და შემოქმედება

-1922-

10. 01. 06 - მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი 2003

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ირანული
ფილოლოგიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი **ლილი ჟორჟოლიანი**

ოფიციალური ოპონენტები:
ფილ. მეცნ. დოქტორი **მაია მამაცაშვილი**
ფილ. მეცნ. კანდიდატი, დოც. **მარიამ მიქაშავიძე**

დისერტაციის დაცვა შედგება 2003 წ. „30" ივლისს
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბლისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის
სადისერტაციო საბჭოს
P 10. 05. №4 სხდომაზე

მისამართი: 380028, თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი №36

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თსუ-ს სამეცნიერო
ბიბლიოთეკაში

მისამართი: უნივერსიტეტის ქუჩა №2
ავტორეფერატი დაგზავნა 2003 წ. „28" ივნისს

დისერტაციის საბჭოს სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი
დოცენტი (რ. ციხითათრიშვილი)

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

ნაშრომი ეხება XX საუკუნის 20-იანი წლების ირანში აღმოცენებული ახალი ლიტერატურული მიმართულების ე.წ. „შერე ნოუს"-ახალი ეპოქის ლექსის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენლის ირანელი პოეტი ქალის ფორუყ ფაროხზადის ცხოვრებასა და შემოქმედებას, რომლის პოეზიას ცნობილმა ირანელმა კრიტიკოსმა რეზა ბარაჰანიმ „ირანელ ქალთა დაღლილი სიჩუმის აფეთქება" უწოდა.

ფორუყ ფაროხზადის შემოქმედებამ განსაკუთრებული ხიბლით შემოსა ახალი ლიტერატურული მიმართულების ზოგად მხატვრული ჟღერადობა და მნიშვნელოვნი როლი ითამაშა „შერე ნოუს" დახვეწისა და დამკვიდრების ისტორიულ პროცესში.

ფორუყ ფაროხზადის პოეზიამ, რომელსაც არაერთგზროვანი შეფასება მისცეს მისი ლიტერატურულ არენაზე გამოჩენის საწყის ეტაპზე, შეძლო ღირსეული ადგილი დაემკვიდრებინა სპარსული პოეზიის იმ ულამაზეს სამყაროში, საიდანაც საუკუნეების მანძილზე იღებდა საზრდოს თითოეული ირანელის ცნობიერება. მისი ლექსისთვის დამახასიათებელმა დინამიზმმა და ექსპრესიულობამ, გრძნობათა გამოხატვის უჩვეულო მანერამ ირანელის ლამაზი პოეზიით გაჯერებული სულიც მოხიბლა და დაატყვევა.

სადისერტაციო ნაშრომის მიზანია შევისწავლოთ ახალი ეპოქის ლექსისთვის დამახასიათებელი ტენდენციები და ის თავისებურებანი, რითაც გამოირჩევა ახალი მიმართულების ე.წ. „შერე ნოუს" ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის ფორუყ ფაროხზადის შემოქმედებითი მემკვიდრეობა. გავეცნოთ არა მარტო მისი პოეზიისა და პროზის ნიმუშებს, არამედ ღრმად გავაანალიზოთ ფორუყისეული ლექსის სტრუქტურული მონახაზი., ჩავწვდეთ მისი პოეზიის იმ არაჩვეულებრივ ბუნებასა და ხასიათს, რამაც განაპირობა მისი პოპულარობა არა მარტო ირანში, არამედ ქვეყნის ფარგლებს გარეთ. გავეცნოთ პოეტის